ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 26

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 04 თებერვალი 2015 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *შ.პ.ს. „გრუზეინპრომი“-სა* (შემდგომში „შემსყიდველი“)
მდებარე ქ. გურჯაანი კოსტავას ქ. №1
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ *შ.პ.ს. „აკა“* (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
მდებარე ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. №6
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

3.1 *შ.პ.ს. „აკა“-საგან* სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურების და მასთან დაკავშირებული მომსახურებების(CPV 50100000); ნაწილების და აქსესუარების სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის(CPV 34300000); და ავტომობილების ზეთისა და მისი შეცვლის მომსახურების(CPV 09200000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. გასაწევი მომსახურების საერთო საორიენტაციო ღირებულება შეადგენს:

4.1.1 სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურების და მასთან დაკავშირებული მომსახურებების(CPV 50100000) შესყიდვის 1500 (ათასი ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.1.2 ნაწილებისა და აქსესუარების სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის(CPV 34300000) შესყიდვის 2000 (ორი ათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.1.3 ავტომობილების ზეთისა და მისი შეცვლის მომსახურების (CPV 09200000) შესყიდვის 1000 (ათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

2. გაწეული მომსახურების სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემული იქნება სასაქონლო ზედნადებსა და ანგარიშ-ფაქტურაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან – 2015 წლის 4 თებერვლიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე მოთხოვნის შესაბამისად.

2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულ იქნება ეტაპობრივად, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შ.პ.ს. „გრუზვინპრომი“-ს საფინანსო სამსახური.

8. გარანტია და ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს დეფექტებს, ან/და რაიმე სახის ნაკლს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა, სასქონლო ზედნადები და ა.შ.) წარმოდგენის შემდეგ.
3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი/უნაღდო.

10. ფასები

ფასები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემრებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. **მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობით.

15. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. **დავების გაწყვეტის წესი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. **სხვა პირობები**

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე.
2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველიორგანიზაცია:

შ.პ.ს. „გრუზვინპრომი“
ქ. გურჯაანი კოსტავას ქ. №1
ს/ნ 231289290
ბანკი ს.ს. „ქართუ ბანკი“
ბანკის კოდი **CRTUGE22**
ანგ.№ **GE87CR0160000900013606**

დირექტორი:

/ გელა ბესარაშვილი /

შ.პ.ს. „ აკა “
ქ. თბილისი უნივერსტეტის ქ. №6
ს/ნ 204875082
ბანკი ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“-ს
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი **REPLGE22**
ანგ.№ **GE67BR00 0000 0006 467464**

დირექტორი:

/ დავით მაღლავიშვილი /